



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „ლოკომოტივი“ - ბოლნისის „ყოჩები“		
გუნდი	ბოლნისის „ყოჩები“	შეჯიბრი	დუბლიორთა ლიგა
მატჩის თარიღი	27/02/2023	მატჩის ადგილი	თბილისი, რაგბი პლატო
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მოთამაშე	დაზარალების თარიღი	
სახელი, გვარი	აკაკი მარშანია		
მომჩივანი	მატჩის მსაჯი, გიორგი ირემაშვილი	დარღვევის აღიარება	✓ აღიარებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია, დანართი #1 9.28 მოთამაშემ არ უნდა გამოიჩინოს უპატივისმცემლობა მატჩის ოფიციალურ პირთა ავტორიტეტის მიმართ	✓ წითელი ბარათი საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	02/03/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია, აკაკი კერესელიძე		
დამრღვევის დასწრება	✓ კი არა	სხვა დამსწრეები : კი არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის, საითინგი და წითელი ბარათის ოქმი		



დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგი
2. მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის წითელი ბარათის ოქმი
3. მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის განცხადება (აუდიოჩანაწერი)
4. მატჩის კიდის მსაჯის, როინ ბრეგვაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

ბოლნისის „ყოჩები“-ს მოთამაშემ, აკაკი მარშანიამ, აღიარა მისი მხრიდან უპატივისმცემლობის და არასპორტული საქციელი მსაჯის მიმართ, თუმცა არ დაეთანხმა საითინგში მოყვანილ მუქარის ფაქტს, მისი თქმით მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილომ, მან ხმამაღლა და აგრესიულად გამოხატა პროტესტი, მაგრამ მსაჯის მიმართ მუქარის შემცველ ქმედებას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია. აკაკი მარშანიამ მოიბოდიშა და წუხილი გამოთვა მომხდარი ინციდენტის გამო.

ფაქტობრივი მოცემულობა და შეფასება

1. 27/02/2023 გაიმართა დუბლიორთა ლიგის XI ტურის მატჩის თბ „ლოკომოტივი“-სა და ბოლნისის „ყოჩებს“ შორის.
2. მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის, საითინგის და წითელი ბარათის ოქმის მიხედვით (ციტირება) - თამაშის 70-ე წუთზე ყოჩებს ჰქონდა მცდელობა ლელოს დამიწების, თუმცა დამიწება ვერ მოახერხეს რადგან ლოკომოტივის მოთამაშემ ყოჩების მოთამაშე აკაკი მარშანიას ბურთი ხელიდან ლეგალურად, თამაშის წესის დარღვევის გარეშე გამოართვა. ამ ყველაფერზე აკაკი მარშანიას ჰქონდა სათამასო სიტუაციასთან სრულიად შეუთავსებელი რეაქცია, რაც არასპორტულ საქციელშიც გადაეზარდა, მან დაიწყო „დაგინება დედაზე“, რასაც მუქარა მოაყოლა, ბოლოს კი დასარტყმელადაც გამოიწია ჩემსკენ, ცენტრალური მსაჯის მიმართ. თავის გუნდელებმა ის სიტუაციას დაუყონებლივ გაარიდეს, მოვიხმე კაპიტანი, გავესაუბრე მას და ავუხსენი მდგომარეობა, ამის შემდეგ მოვიხმე თვით აკაკი მარშანია და მივეცი წითელი ბარათი არასპორტული საქციელისა და ჩემი შეურაცყოფის გამო. მიუხედავად ამ ყველაფრისა ის მოედნის დატოვების შემდეგაც აგრძელებდა მუქარის შემცველ საუბარს და გინებას.
3. მატჩის კიდის მსაჯის, როინ ბრეგვაძის, საითინგის და სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით - ბოლნისის „ყოჩები“-ს მოთამაშემ, აკაკი მარშანიამ, ხმამაღლა და აგრესიულად გააპროტესტა მსაჯის გადაწყვეტილება. მან ვერ შენიშნა მოთამაშის (აკაკი მარშანია) მხრიდან მუქარის შემცველი ქმედება მსაჯის მიმართ და აღნიშნა, რომ თამაშის დასრულების შემდეგ, აკაკი მარშანიამ ბოდიში მოიხადა მსაჯებთან, მისი საქციელი გამო.

სადისციპლინო კომისიამ არსებული მასალების და განცხადებების საფუძველზე ვერ დაადგინა აკაკი მარშანიას მხრიდან მსაჯის მიმართ მუქარის შემცველი ქმედების ფაქტი და მისი ქმედება შეაფასა როგორც მსაჯის უპატივისმცემლობის და ავტორიტეტის შემლახავი საშუალო სიმძიმის დარღვევა.



გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია	უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)

დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით

ზედა ზღვარი * კვირა. შუა ზღვარი **4(ოთხი)** კვირა ქვედა ზღვარი კვირა

*ზედა ზღვართი შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;
თამაშის შემდეგ ბოდიში მოიხადა მსაჯულებთან	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში;
	სამაგალითო
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება

დაკლებული კვირების რ-ბა: 1(ერთი) კვირა

შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება;
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება;

დამატებითი კვირების რ-ბა: არა



სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	3 (სამი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	03/03/2023	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	19/03/2023	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძლება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო არეში (სათამაშო დღეს) თამაშის ნებისმიერ დონეზე.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	06/03/2023
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.